

ქართულის, როგორც მეორე ენის, საგამოცდო პროგრამა (მე-11 კლასი)

მე-11 კლასის საგამოცდო პროგრამა ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ეროვნულ სასწავლო გეგმას, კერძოდ ქართულის, როგორც მეორე ენის, საგნობრივ პროგრამას. ტესტში წარმოდგენილი დავალებები სტანდარტით გათვალისწინებული XI დონის შესაბამისი იქნება.

საგამოცდო ტესტი შეამოწმებს:

1. ლექსიკის ცოდნას;
2. გრამატიკის ცოდნას, კონტექსტის შესაბამისი გრამატიკული ფორმებისა და კონსტრუქციების გამოყენების უნარ-ჩვევებს;
3. სხვადასხვა სახის მხატვრული (მოთხრობის, ლიტერატურული ზღაპრის...) და არამხატვრული (ღია ბარათის, პირადი წერილის, სარეკლამო განცხადების, ბიოგრაფიის...) ტექსტების წაკითხვისა და გაგების უნარს.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- ტექსტის ფუნქციური ტიპის განსაზღვრა;
- ტექსტში ფაქტობრივი ინფორმაციის (მოქმედი პირების, მოქმედებათა თანამიმდევრობის, დროისა და ადგილის და სხვ.) ამოცნობა;
- ტექსტის თემის, მთავარი სათქმელისა და მიზნის ამოცნობა;
- პერსონაჟთა ქცევის მოტივის ამოცნობა;
- პერსონაჟის ხასიათის წარმოჩენის პირდაპირი (ავტორისეული) და არაპირდაპირი (პერსონაჟის საქციელი, მისი განცდები...) ხერხების ამოცნობა;
- სათანადო ლოგიკური და ქრონოლოგიური მარკერების (მაგ., მიზეზშედეგობრივი კონსტრუქციები, პირობითი წინადადებები, დროთა თანამიმდევრობისა და ლოგიკური ურთიერთმიმართების გამომხატველი სიტყვათშეხამებები და სხვ.) ამოცნობა;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტების შედარება მსგავსება-განსხვავების დადგენის მიზნით;
- ტექსტის ნაწილებს შორის ლოგიკური და ქრონოლოგიური კავშირების დადგენა;
- ნათქვამის მოდალობის (შეკითხვის, თხოვნის, რჩევის, ბრძანების) გარჩევა;
- ფაქტის, ვარაუდისა და თვალსაზრისის ერთმანეთისაგან გარჩევა;
- სხვადასხვა სახის ტექსტის სტილური და ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა;
- შესწავლილი ლექსიკური ერთეულების, გრამატიკული ფორმების, სინტაქსური კონსტრუქციების სწორად შერჩევა კონტექსტის გათვალისწინებით;
- ძირითადი ორთოგრაფიული ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

საგამოცდო პროგრამის ენობრივი საკითხების ჩამონათვალი

ლექსიკა:

- კონტექსტის მიხედვით სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრა, სინონიმები, ანტონიმები, მყარი შესიტყვებები, ფრაზეოლოგიზმები;
- სიტყვაწარმოება.

მორფოლოგია:

1. არსებითი სახელი:
 - *ჯგუფები*;
 - *ბრუნება; კუმშვა, კვეცა, კუმშვად-კვეცადი სახელები*;
 - *რიცხვი*.

2. ზედსართავი სახელი:
 - ბრუნება ცალკე და სახელთან ერთად;
 - ხარისხის ფორმები.
3. რიცხვითი სახელი:
 - რაოდენობითი, რიგობითი;
 - ბრუნება ცალკე და სახელთან ერთად.
4. ნაცვალსახელი:
 - ჯგუფები;
 - ბრუნება ცალკე და სახელთან ერთად.
5. ზმნა:
 - პირი და რიცხვი;
 - დრო, კილო, ასპექტი, კონტაქტი;
 - ზმნისწინი;
 - საწყისი და მიმღეობა.
6. ზმნიზედა.
7. თანდებული.
8. კავშირი.
9. ნაწილაკი.
10. შორისდებული.

სინტაქსი:

1. წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით.
2. სინტაქსური ურთიერთობები წინადადების წევრებს შორის.
3. სიტყვათა რიგი წინადადებაში.
4. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი.
5. განკერძოებული სიტყვები: *მიმართვა, ჩართული, დანართი.*

ორთოგრაფია:

1. რთული სიტყვების მართლწერა.
2. ფორმაცვალებადობასა და სიტყვაწარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
3. რიცხვით სახელთა მართლწერა.
4. თანდებულისა და სახელთა მართლწერა.
5. სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერა.

პუნქტუაცია:

სასვენი ნიშნები მარტივ, ერთგვარწევრებიან და რთულ წინადადებებში.